ახალი მარიონეტი

იუმორისტული ჟურნალი

№ 9

ფასი 10 კაპ. | ოთხშაბათი, 26 აპრილი | 1915 წ.

ოცხელის გატაცება

ძველათ საქართველოში გასათხოვარ ქალებს იტაცებდენ და შეიარაღებული მაყრები უკან მიჰყვებოდენ **დღეს** საქართველოში მდიდარ ვაჭრებს იტაცებენ და შეიარაღებული მაყრები იქით გარბიან.

ძველათ და ახლა

„ყურძნის ქურდი იანვარში გამოჩნდებაო'' ნათქვამია, და მართლაც დღევანდლამდე თუ ეს გამემხილა, შეიძლება ადუღებულ კუპრში ამომეყო თავი.

ჩვენ, ჯოჯოხეთში, ძლიერ სასტიკი კანონები გვაქვს საზოგადოთ და კერძოთ კი ვაჭრების მოტაცებისათვის. მიუხედავად ამ სასტიკი წესებისა, ჩემს ახალგაზრდობაში მარტო ჩემმა ჯგუფმა მოიტაცა 38 პირველი გილდისა, 69 მეორე გილდის ვაჭარი, 45 მილიონერის ბავშვი და 10 ბანკირი.

გლეხ ეშმაკებში, ბურჟუა ეშმაკებში და თითქმის ინტელიგენტ ეშმაკებშიაც ჩვენი ჯგუფის შესახებ პირადაპირ ზღაპრული ხმები იყო გავრცელებული. აქ რასაკვირველია ძნელია ყოველივე იმის ჩამოთვლა, რასაც ჩვენზე ლაპარაკობდენ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენი სახელი ათასჯერ უფრო პოპულიარული იყო, ვიდრე ცნობილი ზელიმხანისა.

მას შემდეგ სამოცი წელი გავიდა, მე თითქმის ორმოცი წლისა გავხდი, ძველი ნამოქმედარი დავიწყებას მიეცა და ამიტომაც ჩემი ისტორიის გამხელა ახლა აღარავითარ საფრთხეს არ მიქადის, ხოლო საინტერესო კი მასში ბევრია.

პირველ ყოვლისა საჭიროთ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ადმინისტრატიული მხარე ჯოჯოხეთის წეს-წყობილებისა თითქმ ს არაფრით განირჩევა აქ არსებულისაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სახელმწიფო ენას.

უმაღლესი ადმინისტატიული გვამი ჩვენში **ბელზებელი** გახლავთ, ღირსებით ის თითქმის გუბერნატორზე მეტია; ბელზებელის დაბლა დგანან სატანა და ტარტაროზი. ესენი ღირსებით დაახლოებით პოლიციმეისტერსა და მაზრის უფროსებს უდრიან. კუდიანი — ჯოჯოხეთის ბოქაულია, ხოლო ჭინკა — საერობო დარაჯი, ანუ სტრაჟნიკი ჭინკაზე უფრო დაბალი მოხელე, (მ გალითად მეეზოვეს მისადარი) ჯოჯოხეთის ადმინასტრაციას არა ჰყავს.

ჩვენ, ეშმაკ ექსპროპრიატორთა ჯგუფს, **სიკვდილის ცელს**" გვეძახოდენ. ჩვენი შიშით მთელი ჯოჯოხეთის ბურჟუები ძრწოდენ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეცინებოდა გუნებაში, როცა გავიგონებდი: „სიკვდილის ცელი'' ისევე მიუწდომელია ჯოჯოხეთის ადმინისტრაციისათვის, როგორაც ძროხისათვის ვარსკვლავებიო'' მეცინებოდა იმიტომ, რომ მთელი ჩვენი დიდება არსებითად იმავ ჯოჯოხეთის ადმინისტრაციას ეკუთვნოდა, მაგრამ უმჯობესი იქნება თითონ ფაქტები ვაღაპარაკოთ.

1905 წელს, როცა ჯოჯოხეთმა ომი გაათავა ქაჯეთთან, ბრძოლის ველიდან დაბრუნდა ცნობილი ტარტაროზი ბ-ნი ფხუკი. ის ჯოჯოხეთის ჯარს სურსათს აწვდიდა და მაშასადამე გასაკვირიც არ არის, თუ ომიდან მილიონების პატრონი დაბრუნდა.

ეს ამბავი და ამასთანავე წმინდა რაოდენობა ფულებისა ჩვენ გვაცნობა ბ-ნი ბელზებელის მდივნის მამიდაშვილმა. მთელი ჯგუფი ფეხზე დადგა, სწრაფათ გაიბა ფარული მოლაპარაკება მთელს ადმინისტრაციასთან, ბელზებელიდან დაწყებული, ვიდრე უბრალო ჭინკებამდე. მონაწილედ გავიხადეთ აგრეთვე ქ-ნი ფხუკიც, რომელსაც ქმარი ისე უყვარდა, როგორც მართლ მორწმუნე მაჰმადიანს ღორის ხორცი. გატაცების გეგმა ბ-ნმა კუდიანმა შეადგინა და იმდენათ ოსტატური გამოდგა, რომ უკამათოდ მიიღო მთელმა ჯგუფმა.

დავნიშნეთ დღე. კვირა დილით ბ-ნი ფხუკი-მუდამ ბაზარში, დაიარებოდა ძველი ნივთების საყიდლათ. ჩვენც სწორედ ეს ადგილი ავირჩიეთ მის მოსატაცებლათ. იმ დღეს თითქმის მთელი ბაზარი გაქედილი იყო ხალხით, ქუჩებში დიდის გაქვირებით შეეძლო კაცს გაძრომა. ეტლის შოვნა მით უმეტეს შეუძლებელი იყო.

წვერ შეღებილი ბ-ნი ფხუკი შორიდანვე ვიცანით. მე როგორც განკარგულების მიმცემი განზე ვიდექი. პერველი სიგნალისათანავე წამოიდო ზურგზე ჩვენმა ჰერკულესმა ახოვანი ფხუკი, მეორემ პირში ყაბალახი ჩაუდო რომ ყვირილის საშვალება მოესპო და გავსწიეთ.

ეშმაკებში დიდი აურ-ზაური დატრიალდა დაფაცურდენ კუდიანები, ჭინკები. საზარელი სროლა ატყდა ეშმაკები საშინლად დაფრთხენ და მიმოიფანტენ. ამით ისარგებლეს ჭინკებმა და კუდიანის წინამძღოლობით თანახმად გეგმისა და მოჭკურცხლეს დასავლეთისკენ. ჩვენ კი არხეინათ მივათრევდით ზურგით აღმოსავლეთისაკენ უზარ-მაზარ ცხოველს, ვიდრე ურემს ვიშოვიდით რის ვაი ვაგლახით დავადეთ ურემზე, დავაწყეთ ზემოდან რამოდენიმე ღერი შეშა და თვით ბელზებელის სარდაფს მივადექით. დარაჯმა ჭინკებმა მარდათ დასცალეს ურემი და ,,შეშა'' სარდაფში ჩაალაგეს.

მეორე დღეს ყველა გაზეთები სავსე იყო ამ ამბის აწერილობით. პუბლიცისტები საშინლათ შფოთავდენ. ვინ რა სახელს არ უწოდებდა მას: „მძარცველთა იერიში", „შანტაჟისტების თავგასულობა". ,,დროა ავლაგმოთ!'' ,,თავაღებული თარეში'' ,,სადაა ადმინისტრაცია!" „აივსო მოთმინების ფიალა"! „ნუ თუ აღარ კმარა?" „მოთმინებასაც საზღვარი აქვს!" „მუსრი მაგათ". და სხვა მრავალი ამგვარი მკვახე წერილი გამოქვეყნდა იმ დღეს; ვკითხულობდით ჩვენ ყოველივე ამას და გუნებაში გვეცინებოდა.

მესამე დღეს გაუგზავნეთ ქ-ნ ფხუკს მაშვალი ეშმაკი და მოვთხოვეთ 600000 მანეთი. კუდიანს უკვე დაეყენებია ბ-ნი ფხუკის სახლთან დარაჯი ჭინკა, მაგრამ პირობისამებრ ის იდგა წინა კარებში, ხოლო სახლის უკანა გასასვლელი სრულიად თავისუფალი იყო. თვით ტარტაროზმა ინახულა

ქალბატონი ფხუკი და აღუთქვა 24 საათში მტაცებელთა შეპყრობა. გააფრთხილა აგრეთვე, რომ მას ფული არ გაეღო და ამით მძარცველები არ წაეთამამებია.

მეორე დღეს, დილით, დაიჭირეს ერთი სოფლიდან ჩამოსული მეურმე ეშმაკი. გამოირკვა რომ მის ურემს ორი თვალი ჰქონდა და (ასეთი იყო ის ურემი, რომლითაც ბ-ნი ფხუკი გაიტაცეს) ეჭვი აიღეს, — ალბათ ეს იქნებოდა მომტაცებელიო.

მეხუთე დღეს მეურმე ეშმაკი გამოუტყდა დანაშაულში, ვინაიდან ჩვენების ჩამორთმევის დროს ვერ გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე და პრაქტიკულ დაკითხვას ვეღარ გაუძლო.

მეექვსე დღეს ქ-ნმა ფხუკმა თანხმობა განაცხადა ჩვენს წინადადებაზე და დაკმაყოფილა ჯგუფის მოთხოვნილება.

მეშვიდე ღამე ბელზებელის სარდაფში გავატარეთ და თანხა შრომის მიხედვით, სამართლიანად გავინაწილეთ. არავინ, თვით უკანასკნელი ჭინკაც უმადური არ დაგვრჩენია.

მერვე დღეს ბ-ნი ფხუკი თავისს სასახლეში დაბრუნდა, მაგრამ არავინ იცოდა როგორ და საიდან. ბელზებელმა დაიბარა ისა და უბრძანა გაეცა მტაცებლები, მაგრამ ბ-ნმა ფხუკმა ეს არ ინება, ვინაიდან მათი ვინაობა არ იცოდა.

საღამოობით ქუჩაში სეირნობის დროს ათასჯერ მომიკრავს ყური გულუბრყვილო ეშმაკთა მუსაიფისათვის.

— არა, ძმაო, იმათ თურმე (იგულისხმეთ ჩვენი ჯგუფი) უჩინმაჩინის ქუდები ახურავთ და ყოველად შეუძლებელია დაინახოს ვინმემ.

— კედელში ისე გაძვრებიან თურმე, როგორც თევზი წყალში. მათი დაჭერა ყოვლად წარმოუდგელიაო.

— ტყვიებს პირით იჭერენ, და ყლაპავენო მითხრა ბებია ჩემმა; იმათი მოკვლა ყოვლად მოუხერხებელია, დასძინა მესამემ.

მე ვუგდებდი ყურს და ვიცინოდი გუნებაში.

— იცოდეთ თქვენ ნამდვილი ამბავი, ეგრე არ იტყოდით მეთქი.

ეშმაკი

უმაგთაულო დეპეშები

სოფ. სამიქაო უმაღლესი კურსები ნარდის ფაკულტეტზე ოქროს მენდლით დაამთავრეს შემდეგმა ქართველებმა: მ. ბ. ჩ; ნ. ლ; ბ. ს; კ. ს; ჩ. ს. ბ.

მესამე დღეა, რაც მშვიდათ მიიძინა კ. დ. და ჰ. მ. მკლავებზე ნეტარ ხსენებულმა ადგილობრივმა სამკითხველომ.

ერთი მუშის (მიქაძეა) ოჯახიდან ადგილობრივმა მოძღვარმა დრამის საწინდრათ ნაჯახი და ცული გამოიტანა. ბარი და წალდი თითონ მუშას წაეღო. როცა კ. დ. შეხვდა მუშას, უსაყვედურა: „ბარი და წალდი რაღათ გინდაო“. მუშამ მიუგო: გაისათ მოგვართმევ დრამა ფულშიო“.

სად. აბაშა. აღნიშნულ სადგურზე ლამპებს მხოლოდ მატარებლის მოსვლის დროს ანთებენ. ამას სადგურის ადმინისტრაციის უთავბოლობას აწერენ ბნელაში დაყრილი მგზავრები. საქმე კი აი რაშია: ამ წინაზე სადგურის თავზე ყვავმა გადაინავარდა. სადგურის უფროსს გერმანელთა ჰაეროპლანი ეგონა და აკრძალა სადგურის განათება მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცდენათ.

სანდრო.

ლაილაში. სანოვაგის სიძვირეა. გირვანქა ნავთი 10 მანეთი ღირს. ამის გამო სამკითხველოში 15 წუთით ანთებენ ლამპას. ეს ძლიერ უშლის ხელს „ნიხრის დამწესებელ კომისიის“ მუშაობას, ვინაიდან კომისია მხოლოდ სამკითხველოში იკრიბება ყოველ დღე და მსჯელობს.

ზახრუმა.

გუდაუთი. დიდის ამბით გადიხადეს პანაშვიდი ადგილობრივ სამკითხველოს გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო.

ჯადოქარი

ჯიხაიში. ჯიხაიშის ბაზარში კუბოს საკეთებელ მაღაზიაზე განცხადებაა გაკრული: ,,დაიკარგა ქსენონ-აფთიაქის სარევიზიო კომისია. მპოვნელს ვთხოვთ დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ნაპოვნი ნივთი და ჯილდოთ მიიღებს „ბაქარაში“ მოგებული თანხის ნახევარს.

— 28 მარტს, საზოგადოებამ ხუთი ,,ხეისთავის'' მაგიერ ოთხი კაცის თავი აირჩია.

მჟაუნა.

ქუთაისი. თქვენმა კორესპონდენტებმა ინახულა ბრძოლის ველიდან დაბრუნებული საგუბერნიო მარშალი და ნახევარი საათით ესაუბრა ღვინით

ვაჭრობის შესახებ. თავადი იმ აზრისაა, რომ თუ ღვინის თავისუფალი ვაჭრობა შეზღუდეს, საქართველოს ბედი უკეთესმა წავა. საქმე იმაშია, რომ ქართველ კაცს საზოგადო საქმე და დაჩაგრული თანამოძმე მხოლოდ მეთერთმეტე ჭიქა ღვინის შემდეგ აგონდება ხოლმე და თუ ღვინის ხმარება აკრძალეს, ხომ დავიწყებას მიეცა ყველაფერი.

ამ მიზნით, უკვე შეთანხმებულან აღმოსავლეთ დასავლეთის თავად-აზნაურნი, რათა შეერთებულის ძალით აღძრან შუამდგომლობა სადაც ჯერ არს.

ძალა ღვინოში და ერთობაშია.

კალმახი

ომის ილუსტრაცია

მოწყალების დანი.

„ანგელოზთა აჯანყება"

კვირას, 19 აპრილს, დილის 10 საათზე, მთელი ჩემი ჯალაბობა კოხტათ ჩაცმულ-დახურული იყო.

საოჯახო თათბირი ტკბილათ დავიწყეთ და მწარეთ ვათავებდით, რადგან შეთახმება ყოვლად შეუძლებელი გახდა.

განსახილველი და გადასაწყვეტი შემდეგი საკითხი იყო:

— დღეს, 19 აპრილს, ქ. თბილისში გაიმართება რამდენიმე «დილა»:

1) პოლიკარპეს დილა,
2) პელაგიას დილა,
3) სუსანას დილა,
4) წყალწითელასპირელის დილა და
5) დრამატიულ საზოგადოების გამგეობის დილა, სადაც წაიკითხავენ და შემდეგ გაარჩევენ ახალგაზრდა მგოსნის, მჭედლიშვილის, პოემას „ანგელოსთა აჯანყებას".

რომელ „დილას" დავესწროთ ჩვენ, მე და ჩემი ჯალაბი?

ჩემი ცოლი (საკმაო სიანჩხლით) თქვენ საცა გენებოსთ იქ მიბრძანდით, მე კი რაცა ვსთქვი, ვსთქვი: „პოლიკარპეს დილაზე" მივდივარ, რადგან მონაწილეთა შორის გამოცხადებულია ჩვენი ნიჭიერი 19 წლის (თვით ჩემი ცოლი 41 წლისაა) მგოსანი „ხმელთა შუა ზღვის აბობოქრებული ქარიშხალი" (ფსევდონიმია)!

ჩემ ცოლს ემხრობა ჩემი საშვილო ქალი, 15 წლისა.

უფროსი ქალი (თითქმის მორცხვათ) დედა, მე მგონია „წყალწითელასპირელის დილა" ყველას აჯობებს (წითლდება, ალბათ, ფსევდონიმის ხათრით თუ).

უფროსი ვაჟი (მრისხანეთ) ჩემთვის სულ ერთია, თქვენ საცაა წახვალთ! მე კი „სუსანას დილაზე" ღნდა წავიდე!

საშვილო ვაჟი (ლაკონიურათ) პელაგიას დილაზე მივდივარ!

მე (დიპლომატიურათ) მართალია, გამოჩენილნი მწერალნი — პოლიკარპე, პელაგია, წყალწითელასპირელი და სუსანა — ყველასთვის უცნობნი არიან

და, მაშასადამე, მათ საწინააღმდეგოს ვერავინ იტყვის რასმე, მაგრამ ესეც ხომ ცხადია, რომ ზემოჩამოთვლილნი პირნი კერძო პიროვნებებს წარმოადგენენ... დრამატიულ საზოგადოების გამგეობა კი საზოგადოებრივი დაწესებულება გახლავთ... ეს ქართულ ხელოვნების მებაირაღე და წინამძღოლი დაწესებულებაა... და თუ ჩვენში არ გამქრალა სოციალური გრძნობა და სიყვარული ეროვნულ ხელოვნებისა, უნდა გადაჭრით ავირჩიოთ ,,ანგელოსთა აჯანყება''!...

უმცროსი ქალვაჟი (გადაჭრით) ჩვენ ,,ანგელოზებზე'' მოვდივართ!

მე (განვაგრძობ) ესეც არ იყოს, წაიკითხეთ აფიშა და შეადარეთ დრამატ. გამგეობის დილა თქვენ მიერ მოწონებულ „დილებს". კამათში მონაწილეობას იღებენ: ადამაშვილი, ს. დადიანი, იპ. ვართაგავა, მღვ. თალაკვაძე, დ. კასრაძე, ი. მაჭავარიანი, შ. მესხიშვილი, პ. მირიანაშვილი და სხვ...

ჩემი ცოლი. ფაქტიური შესწორება: ნ. თალაკვაძე ამოშლილია!

მე. ეს იმას ამტკიცებს, რომ დრამ. საზოგ. გამგეობა თქვენი დილის გამმართველებსავით აბუჩათ არ იგდებს ხალხს და წინ და წინვე ატყობინებს: აქედანვე იცოდეთ, ეს და ეს პირი არ იქნებაო. ეს წინასწარ გაფრთხილება იმის მომასწავებელია, რომ დანარჩენი პირნი უთუოთ იქნებიან. ასე იქცევა ყოველი პატიოსანი ორგანიზატორი და ჩვენი დრამატიული კომიტეტიც!.. ამისდაგვარათ, ვისაც სურს ქართულ პოეზიითა და ენამეცნიერების ხელოვნებით დატკბობა, უყოყმანოთ აირჩევს »ანგელოსთა აჯანყება.«!ს

საშვალო ვაჟი (უყოყმანოთ) მე »აჯანყებაზე« მოვდივარ!..

უმცროსი ქალვაჟი და საშვალი ვაჟი რომ გადმოვიბირე გამარჯვების იმედი მომეცა და მეტის მჭერმეტყველობით განვაგრძე ჩემი პოზიციის დაცვა.

გავშალე ჩემი ფანტაზიის ფრთები და ოსტატურად დავასურათე ზეციური ბინა ბამბის ქულის ავეჯეულობით მორთული, მზის კვარცხლებზე მჯდომარე ღმერთი და ვარსკვლავებით მოჭედილ საბოსელში გამწყობილი ნაზ ნარნარი ანგელოზები.

სრული თორმეტის ნახევარი იყო, უკანასკნელი მოწინააღმდეგე, ჩემი ცოლიც, რომ მოლბა (დანარჩენები ადრე მომემხრენ) და ოჯახში კვლავ მშვიდობა და სათნოება დამყარდა.

სწორეთ 12 საათზე მისული ვიყავით და ბილეთებს ვყიდულობთ. ყურში წინდაწინვე ანგელოსთა ნარნარი ხმა და მოკამათეთა მჭევრი ქუხილი გვესმოდა.

ბილეთებში 6 მანეთი დამეხარჯა (15 შაურიანზე იაფის ყიდვას ჩემა ცოლი არ დათანხმდა).

დარბაზში ავედით და დავსხედით.

ხომ ხედავ, როგორ პირნათლათ ასრულებს თავის დაპირებას ჩვენი დრამატიული გამგეობა? მივუბრუნდი ცოლს.

—როგორ?

—აბა სად, არის მღვდელი თალაკვაძე? გამოაცხადეს, აღარ იქნებაო და აკი მართლაც არ მოვიდა.

—ეგ-კი, მაგრამ სხვა მონაწილეები რომ არ ჩანან?

—ჩუ, იწყება!—გავაწყვეტინე მე, რადგან მეშვიდე ზარი დაჰკრეს, და თვალები დავხუჭე: ვიცოდი, თვითონ ავტორი არ წაიკითხავდა თავის პოემას, ალბათ ვინმე ნაზ ხმიან ქალს მიანდეს მეთქი და სრული ილიუზიისათვის, მინდოდა მხოლოდ ხმა გამეგონა პოემის ანგელოსთა, ხოლო სახე თვალდახუჭულათ წარმომედგინა.

უცებ რაღაც საშინელი ხმა გაისმა და კედლებმა ზანზარი დაიწყეს... შეშ ნებულმა, თვალები დავაჭყიტე და უპირველეს ყოვლისა ჩემი ჯალაბობა დავათვალიერე: მადლობა ღმერთსა! ყველანი უვნებლივ ისხდნენ. შემდეგ იქითკენ გავიხედე, საიდანაც საზარელი ხმა მოისმოდა და დავინახე, რომ ეს მსახიობი სოსო ივანიძე იყო და „ანგელოსთა აჯანყებას" კითხულობდა.

შიშმა რომ გადამიარა, ცოტა არ იყოს მეწყინა: სად ანგელოზები და სად ივანიძე. რომელი ანგელოსი ილაპარაკებს ს. ივანიძის ხმით, რაგინდ აჯანყებული და გამწყრალი იყოს?

ეს ხომ ყველამ იცის: სოსო ივანიძე რომ ავლაბ. ის თეატრში სვიმონ ლიონიძეს თამაშობს, მისი ჩურჩული: აღთქმა, ლევან! —ნაძალადევის თეატრის მაყურებელთ ესმით, ხოლო თუ ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობს, მცხეთელები უფასოთ ისმენენ წარმოდგენას.

ივანიძის ანგელოსობა არ მომეწონა, ნამეტურ მაშინ, როცა ჩემი ცოლ ს გამგმირავი შემოხედვა ვიგრძენი მარჯვენა მხრიდან. შემდეგ შევატყე, რომ შვილებიც საშინელის, გამანადგურებელი თვალებით მიჩერებოდენ. რა თქმა უნდა, სული გავტრუნე და ქანდაკებით უძრავათ ვიჯექი. მარჯვენა ყური და ლოყა გამიწითლდა.

ჩემმა ცოლმა ველარ მოითმინა და ყურში ჩამშიშინა:

—ეს არის შენი ანგელოსი?

კარგათ ვიცოდი, რასაც მოასწავებდა ჩემი

ცოლის შიშინი და კანკალმა ამიტანა.

შემდეგ ჩემი უფროსი ვაჟი ადგა და კარებისაკენ გაემართა. მას მიჰყვა უფროსი ქალი.

—აი, ნამდვილი «აჯანყება», გავიფიქრე მე და შიგ პირში მივაცივდი ივანიძეს, თითქო ვერც კი ვამჩნევდი, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა...

პოემის კითხვა რომ გათავდა, ჩემი ცოლი ჭარხალივით წითელი იყო, უფროსი ქალ-ვაჟი არსად ჩანდნენ, ხოლო უმცროს ქალს თვალები წამოსიებოდა; მგონი, ეტირა...

საშინელ გუნებაზე ვიყავი, მაგრამ, უშველოს ღმერთმა, იოსებ გედევანიშვილს მოვკარი თვალი და გულს ჯავრი გადამეყარა. ჩვენი პატივცემული დრამატურგი, და აგრეთვე დრამატიულ გამგეობის წევრი, დღევანდელ «დილის» ერთი გამმართველთაგანი, პირგაღიმებული დადიოდა დარბაზში, თითქოს გვამშვიდებდა და გვეუბნებოდა: —ფიქრი ნუ გაქვთ! კითხვა ცოტათი კი მოიკოჭლებდა, | მაგრამ კამათი ყოველივეს გამოისყიდისო.

—ეს არის ჩვენი დრამატურგი, იოსებ გედევანიშვილი—გაუბედავათ ვუთხარი ჩემ ცოლს და შეშინებული თვალები მივაპყარი.

—მერე რა აცინებს? მრისხანეთ მოიჭრა მან.

ველარაფერი ვუპასუხე...

შემდეგ, მახსოვს, როგორ დაიწყო და მაშინვე გათავდა კამათი, რადგან 8 გამოცხადებულისაგან სამმა ილაპარაკა თითო ოროლა წუთი; მახსოვს ი. გედევანიშვილის დამცინავი სახე და მეტი აღარა მახსოვს რა შინ მისვლამდე, რადგან ჩემ თავში ყოველივე აირია აუწერელის შიშისაგან. მე დარწმუნებული ვარ, ასეთ გრძნობას ქსელში გაბმული უმწეო ბუზი განიცდის, როცა სისხლის მსმელ ობობას თავდასხმას ელის...

შინ რომ მიველით, ჩემი ცოლი ხელით შემეხო ორჯერ, ხოლო შვილები ყვირილითა და მუქარით გაიფანტენ სახლიდან. დღეს სწორეთ ერთი კვირა შესრულდა »ანგელოსთა იჯანყებისა« შემდეგ ჩემი ოჯახის აჯანყებას ჯერაც არ უჩანს ბოლო..

თაგუნა.



ლია წერილი *)

ბ-ნ ჰაიდარბეგ აბაშიძეს!

ფრიად გვესიამოვნა თქვენი წერილის წაკითხვა, ბატონ გაიოზ იოსების-ძე იმედაშვილის მართ მიწერილისა. ჩვენი საზოგადო მოღვაწენი ძლიერ ხშირათ ურევენ ერთმანეთში ისეთ ცნებებს, როგორსაც თქვენ წააწყდით ბ-ნ გაიოზის წერილში. რათქმა უნდა ავტორი წერილისა არ არის დამნაშავე, არც მამა მისს ეკითხება ასეთი წვრილმანები, მაგრამ პატივცემული რედაქცია „სახალხო ფურცელისა“ დიდათ მადლობელი დაგრჩებათ ასეთი გულწრფელი და საპირო განმარტებისა გამო. სწორეთ ამ მოსაზრებით გადმობეჭდა თქვენი პატივცემული წერილი გაზ. „სამშობლო“-დან.

ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ თქვენმა წერილმა ჩვენ სავსებით ვერ დაგვაკმაყოფილა. ის ცალმხრივია და ბ-ნ გაიოზ იოსების-ძე იმედაშვილის წერილს არკვევს მხოლოდ ეტნოგრაფიულის მხრით. ჩვენ კი გვეგონა თქვენ მას ყოველმხრივად განიხილავდით.

იმავე „სახალხო ფურცელში“ ჩვენ ვკითხულობთ სხვა შემომწირველ ბავშთა სახელებსაც. აი მაგალითად.—პატარა გოგი. ვინ არის ეგ პატარა გოგი? ნუთუ იმას მამა არა ჰყოლია და გვარიც არა აქვს? მაშ რატომ ასე ყრუთ გასწირა მან აჰარელთათვის თავისი წვლილი? მართალია ქრისტეს მოძღვრებაში ნათლად არის ნათქვამი: —**მარცხენამან თქვენმან არა იცოდეს, რასა იქმს მარჯვენი თქვენიო**“ მაგრამ ეს ალბათ ქურდობას შეეხება და არა ქველმოქმედებას. ამიტომაც **პატარა გოგის** საქციელში უეჭველია, აქ რაღაცა იმალება, რომელსაც გარკვევა სჭირია. და მე მგონია თქვენთვის ეს საძნელო არ იყო.

ეშმაკი.

*) სხვა და სხვა მიზეზების გამო ამ წერილის დაბეჭდა დაგვიანდა.

ჭარბაჭა

ერთხელ ერთს თავადიშვილსა,
დიდი დავითის ძის ძესა,
ბანკიდან მამულ-დედულის
გირაოს ფული მისცესა.
ათასი იყო, თუმანი,
თუ ორჯერ მეტი მგონია,...
(როგორაც ხედავთ ჩვენ კნიაზს
დიდი მამული ჰქონია!)

წაიღო ესე ქანქარი
დიდი დავითის ძის ძემა
და სიტკბო წუთისოფლური
თითქმის უკლებლივ იგემა.
მაგრამ როდესაც დრო დადგა
და მას მოსთხოვეს ვალები
ჩვენმა თავადმა უაზროთ
დასჯიტა ორთავ თვალები.
მან იგი ათასეული,
ბანკიდან წამონაღები
დასთესა, სადაც ჰყვავიან
„ედემის“ ტურფა ბაღები.
და გაუყიდა მამული
მას ბანკმა ჩალის ფასადა...
დარჩა ბატონი თავადი
შიშველი, თითის მსგავსადა.
მოდით და ვნახოთ ის სიტყვა,
(სახელი ზედშესრულია)
რომ ყოფა იმა თავადის
გამოგვიხატოს სრულია.
ამა სახელსა მრავალი
ქართველი კაცი ატარებს
და იგი ტურფა წოდება
მათ პროლეტარსა ადარებს.
უმეტეს წილად აზნაურთ
უხმობენ სიტყვას ამასა,
თავისი მამულ-დედულის
რო მორჩებიან ჭამასა.

ორი მარცვლისგან შესდგება
და ხუთი ანბანისაგან –
ბევრი მინახავს ეაჟკაცი
განაბრაზები მისაგან.
მეორესა და მესამე
ანბანთ რომ არე ჰქონია,
იქ უნდა ჩავსვათ უთუოდ
ერთი ქორონიკონია.
ორმოცდა ათსა ედრება
ნიშანი იგი ქართული...
ადვილათ ნახავთ, სხვა ფიქრში
თუ არ ბრძანდებით გართული.

ღამის ფრინველად იცნობენ
ახლა რომ სირი გვჭირია
ბავშვობის დროზე ფუღურად
მრავალი დამიჭირია,
კისერი თითქმის არ უჩანს,
თვალი აქვს ჯამის სიფართე
რა საჭიროა არ ვიცი
ლექციას გრძელს რო მივმართე.
ვინაა ის არ ენახოს,
დღითი ბრმა, ღამით მჭვრეტელი
სასახლედ ხისა ფუღუროს
გამომწყობ,გამომკვეთელი.
გვჭირია მისი სახელი
მოკლე და ტურფა ხმოვანი
(მას საუცხოოდ ამბობენ
ჩვილნი და მცირე წლოვანნი).

თუ გახსოვთ, **ქვაბი** ვახსენეთ
მესამე შარადაშია,
(ვიხმარეთ ნაკვთი მეორე
როცა გავჭერით შვაშია)
აწ ნაკვთი გვინდა პირველი
იმავე მოკლე სიტყვისა,
და ვთხოვ ვაჰკვეთონ,
ამაზე ვარსნულარავინ იტყვისა.

დასასრულ ტურფა ყვავილი
და გაზაფხულის შვენება,
ვინ არის კაცი ქართველი
ის რო არ მოეხსენება?

მიაწყვეთ ერთი მეორეს
მასალა დანამზადები
და გაიხარებს ყოველთა
მხარეთა არამზადები.
ვინც დამარცხდება ამ ომში
და დაეცემა ძლეული
მას დააწვება თავზედა
ჩვენი შარადაც, წყეული.
და რაც ამ ომში შერჩება
იგი წაართმევს ყველასა,
ვერსაით ვეღარ მიიღებს
დახმარებას და შველასა.

კოლო

ᲛᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

კახეთიდან

ქაჯთ-სამფლობელოში ძლიერო სარდალო,
ბატონო ეშმაკო, ბოქაულთ ბადალო!
ჩვენც გამოგვეცხადა მობილიზაცია!..
სიხარულს მიეცა ქალი, თუ კაცია,
მოგიძღვნით ყველანი გულითად სალამსა
და მტერთან საომრად ვიმარჯვებთ კალამსა.
მუნ მრავალ არიან ავსულნი, მძარცველნი,
უცხოთგან მოსულნი, თუ მკვიდრნი კახელნი...
ამ მხარეს—გავაზსა (ძველსა და ახალსა)
გარს ალყა არტყია, ცათამდე მართალსა.
ვინაა ქომაგი საწყალი ხალხისა
ქვრივთა და მოხუცთა, ობოლი ბალღისა
მაგრამა, ეშმაკი თითონაც ბრალშია, -
ქელეხებს რომ მართავს, ვარდება ვალშია

ალმოსავლეთი ასპარეზი



ხაზი, რომელზედაც იბრძვის რუსეთისა და ავსტრო—გერმანიის ჯარი.

დასავლეთი ბრძოლის ასპარეზი



შტრიხით აღნიშნულია ის ხაზი, რომელზედაც იბრძვის გერმანიისა
და ინგლის—საფრანგეთის ჯარი.

განცხადება

გაიღო ახალი აფთიაქი პროვიზორი ა. ს. ახვლედიანისა

სამხედრო ქუჩის I და გოლოვინის პროსპექტის კუთხეშიდ,

ტელეგრაფის პირდაპირ.

ხუცესნიც ურჩევენ:—ეს კარგი წესია,
რომ ხალხი გავაძღოთ და ღვდელ-ეკლესია;
სხვა დროსა თუმც გლეხი მშიერ-შიშველია...
სარგებლით ვალს იღებს, მზათა ყავს „ელია“;
მთელს სარჩოს მას აძლევს
სულ გამოელია.
არ იკლებს "მიხაკაც“ —
ცბიერი მელია!

სოფლათ მიიწვიეს კეთილის მყოფელი
სწავლული ექიმი—(დალაქთა მგმობელი),
გაჯავრდა ამაზე აქიმთა ამქარი,
რამეთუ მოაკლდათ გლეხების ქანქარი.
ამდენმა აქიმმა სოფელი წაწყმინდა...
ხალხი და ქონება — ორივე გასწმინდა.
პირველი ადგილი უჭირავს „სანდროსა“...
ავათმყოფს „აძინებს“,(აჩვენოთ რა დროსა)
ყელისა ეხერხება მას „ოპერაცია“,
ჯიბის ხირურგათაც ვარგისი კაცია.
მალამოს კარგს შვრება „დულაანთ ანიკო“;
მას გაეჯიბრება ამაოთ „მარიკო“.
„ზარდიანთ თედოსა“ გამოუგონია
ქარების წამალი, ხახვი და ქონია?!
ერთხელ ვინც იგემებს,
მეორეთ არ უნდა,
თუ პირველ მიღებით
სული არ გაგუდა.
მზგავსი აქიმები სხვაც კიდევ ბევრია,
ამიტომ [დოხტურის] ვიღასა სჯერია?
ტყვილა მოიწვიეს და ხარჯი გაიღეს,
[სპეციალისტების] ცოდვაი აიღეს!...
ამ ჟამათ ვათავებ ჩემ ეპისტოლესა,
დროს ვაძლევ მორჯულდეს რეგვენი და ქლესა...

აჩრდილი.

ფოთიდან

უმუშევარის სიზმარი

ამ ომის შემდეგ უმუშევარი,
ლუკმა პურისთვის ბედის მდევარი
დავწობი თვარა, ვით ძველი ცოდვა,
თავს დამტრიალებს სიზმარი-ბოდვა.
ერთი მათგანი ამ ბოლოს ვნახე,
რომლისთანავე მე განვიზრახე
მოვძებნო ამხსნელ მზაკვართა ბინა
(იგი მასწავლეს ჯოჯოხეთს შინა)
დიდმა ეშმაკმა თუ არ სთქვა ვარი
და ჯოჯოხეთის გამიღო კარი,
რომ მოვახსენო სიზმარი ცხადათ,
ოც წუთს მოვითხოვ საუბრის ვადათ.

—

ვიყავ სიზმართა სამფლობელოში
„დიდი კუნძულის“ წვანე მდელოში,
სად ფაზისს ირთავს პონტო მღელვარე,
სადაც კოშკი დგას ღამით ელვარე,
მეზღვაურთ გზისა სანიშნებელი
ჯერ მეკობრეთა ხელ-უხლებელი.

—

მაისი იყო ვითომ პირველი,
დღესასწაულის ვინმე მწირველი
ნახსენებ კოშკზე გადმომდგარიყო,
კუნძულზე ხალხის ტევა არ იყო,
უმრავლესობა ძველი მუშები
ომისგან არტელ დანაფუშები.

—

მწირველი იგი მხნედ ქადაგობდა,
თან ომის ამბავს ხალხს მოუთხრობდა,
აღნუსხა ქვეყნის მსხვერპლი, ზვარაკი
განსაკუთრებით მუშათ ბანაკი
დაასურათა ტრაღედიაში,
(თუმცაღა მტრებიც მოყვენ სიაში)

—

ახსნა მიზეზი მილიტარიზმის,
დაგმო წესები კაპიტალიზმის,
მოწამებრივი თავი დახარა
და **დასასრული ომის გვახარა;**
„ჩვენ სასარგებლოთ შეჰკრეს ზავიო
მხნედ თუ მეყოლა თქვენი თავიო“.

—

ამის მსმენელი მღელვარე ხალხი
კუჭით მშიერი და გრძნობაით თალხი
მომავლის სხივმა აღაფრთოვანა,
მძლავრის გუგუნით აღახმოვანა,
დაიგრიალეს ერთხმათ: "ურაო“
ჩვენ მუშაობა მოგვეწყურაო
აწე კურტანით დავსცლით გემებსო
ჩვენი ცოლ-შვილიც პურს იგემებსო.“

—

ჩვეულებრივი გამართეს კრება
(ვაი თუ ცხადათ მომენატრება?)
ამოირჩიეს კომისიები,
რომ შეედგინათ იმათ სიები
არტელ-ცეხების აღსადგენათა
(თუმც ზოგს დაურჩა ეგ საწყენათა),
რადკან არტელი მათი ეგონათ
და საშვალებაც ბევრი ეღონათ

რომ გამხდარიყვენ იჯარადრათა
წარმოედგინათ მუშები მკვდრათა.

—

დანიშნეს კიდეც გამოძიება,
(ზოგს კი შეუდგა ცხელებ-ცივება)
ანგარიშები რომ იყოს წმინდა
გამოძიება შორიდან გვინდა
ამ ფინანსების კომისიაში,
რადგან მეც მოვხდი ერთად სიაში
«მოწინავეებმა» თუ როგორ სწირეს
ქე მოგახსენებთ მომავალ **კვირეს**.

უმუშევარი.

კარსანიდან

უნდა მოვნახო, ქამანჩა,
და გუდას მოვკიდო ხელი,
თუმცა დრო ცუდი დაგვიდგა,
მოვიგონო ისევ ძველი.
გაუდგე დიღმის მინდორსა,
გავიარო კარსნის ველი,
კარსანში უნდა მოვნახო,
გურგენიძე მასპინძელი.

—

ერთხელ ისიც ბრძანდებოდა,
გლეხის, მუშების ერთგული,
და ძუდამ პირზე ეკერა
ერთობა და სიყვარული.
მაგრამ ახლა, წინაღმდეგობს,
რაკი შეიძინა ფული,
წმინდა ალახმა დასწყეველოს,
ამნაირი კაცის რჯული.

—

გლეხი კაცი აღარ მოსწონს,
ბატონობა სჯობიაო,
შავი მუშა და გლეხ-კაცი,
ყველა დასახრჩობიაო.
ერთი სიტყვით, იმის საქმე,
გრძელი მოსათხრობიაო,
იმნაირი ვაჟბატონი,
სწორეთ დასაგმობიაო.

—

ეს დიმიტრი გურგენიძე,
კარსანში მცხოვრებელია,
სამსახურის კაცი გახლავთ,
დიდ საქმეების მცველია.
მშიერი დაჩანჩალობდა
ეხლა კი მბრძანებელია,
ბრძანებას ვინღა დაეძებს,
რომ არ უსწრობდეს ხელია.

—

აღარავინ გადაურჩა,
მუშები უცემელია,
აისორი, თუ სომეხი,
მეურმე დიღომელია,
სულყველას მოხვდა იმისი
წარჩინებული ხელია,
სიტყვა-პასუხი იმისი
აბა აქ რა სათქმელია.

ფუკუშიმა.



***

ცხრაჯერ ვიყავი შენ სახლში,
ცხრაჯერვე ვერა გნახევი,
ვეძებე, ვერსად ვიპოვე,
პაწა ქაღალდის ნახევი, —
რომ გამელანძღე რიგიან
ჩემი გარჯისთვის ცხრაჯერა...
ოჰ, როგორ მიძგერს ეს გული,
ვერ იქნა ვერა ცხრა ჯერა.

—

შე დალოცვილო, ქართველო,
ასე რამ გამოგაფიტა?
სახლში ქაღალდი არა გაქვს,
ღვინოს მიირთმევ ჩაფითა?!
აი მთლად შენი ავეჯი:
ლოგინი, სკამი სამ ფეხა...
(სარკე არა გაქვს, შარშან წინ
შენ შვილის შვილმა გასტეხა!)
ვერსად ვერ ვხედავ სავარცხელს,
თმა დაგცვივია დარდითა!..
ის რაღა არის კუთხეში?
გულს ირთობ ჭადრაკ-ნარდითა?
გაერთე, ძმაო, გაერთე,
თუ შეგხვდეს, ყანწიც დასცალე
და დღენი შენი სიცოცხლის
კრიალოსანზე დასთვლე!

ბეგლარა

გამოცანები

„უტუ-ბრალი“

ახალ გაზრდობს, ყმაწვილ კაცობს,
თუძც ხნიერი, აყლაყუდა,
ხალხში კიდევ დაკისკასობს
აგი ბოროტების გუდა,
მრუშობაში ნაქებარი
დონჟუანი და გულ ცუდა,
ძსხვერპლი ბლოძათ ძეიწირა
(ერთი ზღვაშიც ჩააყუდა!)
დადის, ვითოძც არაფერი,
ახალ ძსხვერპლებს უთკალთკალებს,
ძარა, აწე თუ ემძაკი
ძის გარშემო ხახავს ქალებს,
მათრახს იხძარს აფხაზურად
არავის არ ძეიბრალებს,
თან აძ საქძის ყურის გდებას
ჯოჯობეთი ძე ძავალება.

ძგლოვიარე.

2

(სოფ. აბაშისათვის)

ახლა აქ, ძველათ კახეთში
მეფობდა იგი, აქ არა.
უყვარს ქანქარი საჯიბე,
„პრაფერანსი“ და „ბაქარა“.
ბოქაულს ტყავი გააძრო,
ლამის „პაგონი“ აჭყარა.
სოფლის „ბანკი“ და „კრედიტი“
იმისი შტატი გამხდარა.
თუ ველარ გამოგიცვნია
სჩანს თქვენი საქძე წამხდარა.

რისხვა.

3

(მცხეთელებისათვის)

ნიჭით, მაღალი,
ქცევით, დაბალი,
ოჯახში უყვარს, აყალ-ძაყალი.
გარეთ კი, წყნარი,
ტკბილ, ძოუბარი,
სახელს არ გეტყვით, არც ვიცი გვარი.
მცხეთელთ, ძძობილი,
კეთილ შობილი,
და ცხოვრებითაც, სრულ კძაყოფილი.
თავი აქვს მთელი,
თვითვე ძცხეთელი,
კი არ გეგონოთ, ვიაძე წყნეთელი.
არის ქართველი,
და »უყვარს« ერი,
კარგია მოხვდეს, ძათრახის წვერი.
მუდამ შინ არის,
(თავისთვის, არის)
გამოიცანით, აბა ვინ არის?

ფუკუშიმა.

ომის ილუსტრაცია

ტყვიის მფრქვეველნი.

აკაკის მოგონება

I

ნიჭიერი ბავშვი ვიყავი და აკაკისა და საერთოდ ქართულ მწერლობის სიყვარული აკვნიდანვე დამჩემდა. ენა რომ ამოვიდგი, პირველი ჩემი სიტყვა „კაკი“ იყო. კაკილას რო მაჩვენებდნენ, მაშინვე ნიჭიერად ჭყლოპინს დავიწყებდი: აკაკი, კაკი, კაკო, მაშ! მშობლებმაც, ასეთი ნიჭი რო შემატყის, სახელათ ბაკაკი დამარქვეს. კითხვა რო ვისწავლე, სულ აკაკის ლექსებს ვიზეპირებდი და წყალივით ვიცოდი—„მოდი ვნახოთ ვენახი“, «მახსოვს პირველად“, „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი“ და სხვა. მამა ჩემმა რო გიმნაზიაში ჩემი მიბარება დააპირა, გადაჭრით გამოუცხადე ისეთს ოჯახში აეჩინა ჩემთვის ბინა, სადაც აკაკი დაბრძანდებოდა. მამა ყაბულს იყო. ჩვენის ნათესავის სოსიკო მერკვილაძისაგან გვქონდა გაგონილი, რომ იგი აკაკის საუკეთესო მეგობარია და ჩვენც იმას მოვაშურეთ, მაგრამ გაგვიწყრა ღმერთი, სოსიკოს ვერ მოვურიგდით: დიდებულ მგოსანის „მესაიდუმლემ“ თვეში ასი მანეთი მოგვთხოვა და თითოეული ნახვა აკაკისა ოცდა-ხუთ მანეთად დააფასა. მამა ჩემი ხელომოკლე და წვრილფეხა აზნაური გახლდათ, ასეთი ხარჯი მას გააკოტრებდა და გულ-დაწყვეტილებმა დავუტევეთ „აკაკის მეგობრის“ ბინა.

თფილისში ბევრი ვირბინეთ, სულ ამაოთ კი: საჩვენო ბინა ვერ აღმოვაჩინეთ—ან ჩვენით გაკეთებას ფიქრობდნენ, ან ისეთი იყო, სადაც აკაკი არ დაბრძანდებოდა. „ჩვენი ახალგაზდა ნიჭიერი მწერალი“ ივ. ელიაშვილი იმ ჟამად თფილისში არ ბრძანდებოდა, თორემ მასთან დაბინავებას რაღა აჯობებდა: სულ აკაკისთან ვიქნებოდი, მასთან ბაასი არ მომაკლდებოდა და გარდაცვალების შემდეგაც ივ. ელიაშვილთან ერთად მთაწმინდაზე ვივლიდი და დიდებულ მგისანთან კვლავ განვაგრძობდი ბაასს!.. ეჰ!..

ავიკარით გუდა-ნაბადი და ქუთაისს მოვაშურეთ, მაგრამ დახეთ ჩვენს უბედობას: ყველა ბინა, ყველა ოჯახი, სადაც აკაკი ხშირი სტუმარი ბრძანდებოდა, გიმნაზიისა, სემინარიისა თუ რეალურ სასწავლებლის შეგირდებით იყო გაჭიანლილი. ვისთან არ ვიყავით: ნიკოლაძის ქალებთან, სერგო ბახტაძესთან, თავ. ბეჟან წერეთლისას—სულ უარი და უარი. ყველგან ჩემი ტოლა ნიჭიერი ყმაწვილები გამაგრებულიყვნენ და მათი მონადირება ქრთამითაც ვერ მოახერხეთ, მამა ჩემს „ატსტუპნოი“ არ ენანებოდა. ჩვენც იმიტომ ავირჩიეთ ასეთი ბინაო, გამოგვიც ხადეს გადაჭრით, რომ აკაკის გარდაცვალების შემდეგ მოგონებანი ვსწეროთო...

მეტი ჩარა არ იყო. დიდის ვაი ვაგლახით ვიშოვეთ ბინა ერთს ხარაზთან ლოშპიტლის ქუჩაში და იქ მოვიკალათე. ეს ადგილი იმიტომ ავირჩიეთ, რომ ამ ქუჩით აკაკი ნიკოლაძის ქალებთან და თავ. ბეჟან წერეთლისას დაბრძანდებოდა და გარდა ამისა, როგორც სარწმუნო პირთაგან გავიგეთ, ნიკოლაძეების მზარეული წულა-მესტს ჩემს ხარაზს აერვინებდა. კარგი ბიჭი იყო ეს მზარეული-ანთიმოზა ბუცხრიკიძე; ისიც ნიჭიერი იყო, თუმცა „ყარამანიანის“ გარეთად არაფერი სწამდა. მალე დავუმეგობრდი და მაცნობა, დღეს აკაკი საჩხერეს მიბრძანდებაო. გულმა ცემა დამიწყო, მუხლებმა კანკალი, სისხლი საჩქაროდ თავში აიჭრა და ენაც ღვთისგან მიჩნეულ ადგილიდან გადმომივარდა. დანიშნულ დროზე, სამგზავროდ გამოწყობილი, ხეთერელის წიგნის მაღაზიასთან ვიდექ და დიდებულ მგოსანს ველოდი. ოო, ტკბილია ლოდინი, როცა იცი, რომ, აი, თვალ-წინ წარმოგიდგება ის, რომელიც... ის, ვისთვისაც... ერთის სიტყვით, აკაკი..

აი, გამოჩნდა კიდეც. ჩვეულებრივ ფეხით მოდიოდა, ნელის ნაბიჯით (ეტლში ხომ ვერ ჩასვამდით, რა გინდ ხვეწოდით). უკან მოსდევდნენ „მეგობრები“. რომელთაც დიდებული მგოსანი ტკბილათ ეჭიკჭიკებოდა და ეჟღურტულებოდა. ბევრი ვეცადე, მაგრამ აკაკის თვალში ვერ შევეჩხირე. ხშირად თითქმის ვეწიე მიზანს, მაგრამ ისეთი მუჯლუგუნი მითავაზეს, რო კინაღამ კისერი არ მომტეხეს.

ვაგზალში რო მივედით, აკაკიმ ჯერ ბილეთი იყიდა, კარგად მახსოვს, მეორე კლასისა, ფულიც მისცა, ესეც კარგად მახსოვს, ხუთ მანეთიანი ოქრო, და ხურდაც აიღო, მერე მიტროფანე ლაღიძის ლიმონადი მიირთვა, მერე კარგახანს ბოლთას სცემდა და რაღასაც ღიღინებდა მომხიბლავის ხმით. ნეტავი ბოლთა მე ვიყო და მე მცემდეს იმ ღვთიურ ხელებით მეთქი, ნიჭიერად გავიფიქრე, მაგრამ რას გავაწყობდი... იმდენი ხერხი კი ვიხმარე, რო სწორედ იმ ვაგონში დავიკავე ადგილი, სადაც აკაკი ბრძანდებოდა. აქაც „მეგობრები“ გარს ეხვეოდნენ... მეც ნელ-ნელა მივუჩოჩდი, გავეხლახუნე, წინ ავეტუზე და... ბოლოს მადლიან ხელზე კოცნაც დავუპირე, მაგრამ ვერ გავბედე. აკაკიმ შემამჩნია, თავზე ხელი დამისვა, ღვთიური სახე მთვარისაკენ იბრუ-

ნა (ასეთი ჩვეულება ჰქონდა დღისითაც და ტკბილის ხმით მითხრა: — გეტყობა ნიჭიერი ყმაწვილი უნდა იყო და რო გაიზრდები უთუოდ ჩემს მოგონებას დასწერ; — ამიტომ ბარემ ეხლავე მოგცემ მასალასაო, და გამიბა მომჯადოებელი საუბარი: — ბარათაშვილი დიდი მწერალი იყოო, აგრეთვე ყაზბეგიცაო, ხოლო ერთი პოეზიაში, მეორე კი პროზაშიო. განდეგილი თუმცა ნიჭიერია, მაგრამ არაგვისპირელიც ნიჭიერიაო. არაგვისპირელის მოთხრობას რო წაიკითხავ, იფიქრებ თვით ღმერთის დაწერილიაო (მხოლოდ მაშინ გავიგე, რო თურმე ღმერთებიც მწერლობენ). ნინოშვილს ნიჭი ჰქონდაო, მაგრამ ადრე მოკვდაო, კლდიაშვილი კი დიდი ნიჭის პატრონიაო, მაგრამ ღვთის მადლით ეხლაც ცოცხლობსო. ევდოშვილი ტემპერამენტით სავსეა, მაგრამ გრძნობა არა აქვსო.

ეს რო მიბრძანა, არ დავეთანხმე, წელში გავსწორდი და ევდოშვილის ლექსები წავუკითხე, მაშინ კი ღვთიური სახე გაუწითლდა და წყნარი ხმით მითხრა: — შემცდარი ვარ და მეპატიება. მე მოვხუცდი, ჭკუა-გონება აღარ მიჭრის, შენოდნობა სად შემიძლია, ძალა და მომავალი ჩვენი სულ შენისთანა გიმნაზიელებშიაო. ჩვენი ინტელიგენცია ფუქსავატია, რადგან იგი ზნეობით ბანკებმა დასცესო, ხოლო ვანო მაჩაბლის სიკვდილი საიდუმლოებით არის მოცულიო, მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ სიცოცხლეში ვერ მითქვამს, არავინ გამიგონოსო, და რო მოვკვდები, მთა-წმინდაზე ივ. ელიაშვილს ვეტყვიო და შენც იქ ამოდიო...

ამ მომხიბვლელ საუბარში ვიყავით, შორაპანს რო მივედით. იქ ჭიათურის მატარებელში გადავსხედით, მაგრამ ადგილიდან ჩვენს დაძვრას არაფერი ეშველა. გამოვედი და გავიგე: ჩვენის მატარებლისათვის მეორეც მოებათ, მათგან თურმე ყველამ, ვინც თბილისისა და ბაქოსაკენ მიემგზავრებოდა, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და ჰასაკისა, აკაკი რო ნახა, გადაწყვიტა მარშრუტი შეეცვალა და საჩხერემდე წამოგვყოლოდა...

სამი დაუვიწყარი თვე გავატარე აკაკისთან, მასთან ვიყავი განუშორებლივ და სულ მუსაიფში მყავდა გაბმული დიდებული მოხუცი ყოველ დღე. ზაფხულის მიწურულში შევამჩნიე, რო ხშირად ცდილობდა განმარტოებულიყო, გულის ფრიალიც დასჩემდა, ნერვებიც მოეშალა, მადაც დაეკარგა და ძილიც, მაგრამ დრო აღარა მქონდა, რომ ტკბილის მუსაიფით შემემსუბუქებინა მისთვის ავადობა: გიმნაზიაში უნდა დავბრუნებულიყავ. წამოვედი და თან წამოვიღე დღიურის ახალი ოც-და-შვიდი რვეული...

სტუდენტობა ისევ გავატარე, რომ აკაკისთან ხანგრძლივი საუბარი არა მქონია. ზაფხულობით თუმცა მოვდიოდი ხოლმე რუსეთიდგან და სულ კვალ და-კვალ დავსდევდი, ქალაქიდგან ქალაქში, სოფლიდგან სოფელში, მაგრამ სხვა მრავალი „მეგობარი“ გარს ეხვია და ხელს მიშლიდა განსაკუთრებით კი ის წყეული სოსიკო, — სულ არ შორდებოდა, დღე-და-ღამ მასთან იყო ატუზული. მაინც მოვახერხე და რამდენჯერმე შევხვდი, შევეფეთე, ის იყო ხელიც გავუწოდე ჩამოსართმევად, მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ, გარეშეს რო დავენახეთ, იფიქრებდა, თითქო აკაკიმ თვალი მომარიდა, — მე კი, მადლობა ღმერთს, კარგათ ვიცი, რო მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა: ყოველთვის განზე იცქირებოდა ან და ზეცას აღაპყრობდა თვალებს.

სასტუმროში რო მივიდოდი, მეუბნებოდენ — შინ არ არისო „მხოლოდ ერთხელ, ისიც ძილში“, ე. ი. აკაკის ძილში, როცა სასტუმროს მსახური სადღაც წასულიყო, შევიპარე ფეხ-აკრეფით დიდებულ მგოსნის ნომერში, მძინარს თავს დავადექი, მის ღვთიურ მხარს ოდნავ ხელი შევახე და ნაზად წავჩურჩულე:

— რა აზრის ხართ რუსთველის შესახებ?

ველ-ნაკბენივით წამოვარდა, შემომხედა, მიცნო, შეშფოთდა და ძლივს წარმოსთქვა (ძლიერ სუსტათ იყო იმ ჟამად):

— რუსთაველი... დიაღ, რუსთაველიც ნიჭიერი იყო... მხოლოდ პოეზიაში... დიაღ, პოეზიაში

— საზაფხულოდ სხვიტორს აპირებთ წაბრძანებას?

— ოჰ, არა, არა, ღმერთმა დამიფაროს, სადმე სხვაგან, თუნდ ჩინეთს, არაბისტანს, თუნდ იალბუზის წვერზედ, იქ კი ნუ, ნუ — და წასასვლელად მოემზადა.

— უკაცრავად, როგორ უცქერით საქართველოს? შევაჩერე მე.

— საქართველოს ხსნა და მომავალი შენისთანა სტუდენტებშიაო, — სთქვა და, მოჩვენება, გაჰქრა ნომრიდან. მაშინვე შინ მივიჭერ და ერთი რვეული კიდევ მივუმატე ჩემს დღიურს.

მესამედ რო შევხვდი აკაკის, უკვე ექიმი ვიყავი. მიხეილის პროსპეკტზედ ვიდექ და მუშტაიდისაკენ მიმავალ ტრამვაის ვაგონს ველოდი. ერთიც ენა-

ხოთ, აკაკი მიახლოვდება. სული გავტვრინე, გულმა ისევ ცემას მიჰყო ხელი, მუხლებმა კიდევ კანკალს, ენაც კვლავინდებურად გადმომივარდა. . მომიახლოვდა დიდებული მოხუცი და გვერდით გამიჩერდა. სულ მარტო იყო. აი, ეხლა გაქვს დრო მეთქი, ჩემს თავს ვეუბნები, თუ ჩაიგდე ხელში, ახლა ჩაიგდე და ამდენის ხნის წამარხულევმა ეხლა იჯერე გული მეთქი. დამოვე ზადე. სანამ მე სულს მოვიბრუნებდი და საკმაო ნერწყვს ჩავყლაპავდი, ვაგონიც მოგვიახლოვდა. ის იყო დავიწყე—,,რა აზრისა ხარ'', აკაკიმ ღვთიური სახე ჩემსკენ მოიბრუნა, დამაცქერდა, მიცნო და მოულოდნელის სიკვირცხლით ვაგონს მიაშურა, მაგრამ კიბეს ფეხი წაჰკრა და ძლიერაც იტკინა... ცოდვა გატეხილი სჯობია, როგორც ექიმს და აკაკის თაყვანის მცემელს გამიხარდა კიდეც... მყისვე იქ გავჩნდი, ხელი მოვკიდე, კიბეზე ავიყვანე და ის იყო უნდა გამება მომჯადოებელი საუბარი, სადაც იყო და სად არა, დასწყევლოს ღმერთმა, აკი სოსიკო მერკვილაძე გაჩნდა, მჰკრა ხელი და მიწაზე ზღართანი მოვადინე. რო ვდგებოდი, აკაკის ტკბილი ხმა ჩამესმა ყურში, ვაგონიდან მიძახოდა:

—კვლავაც აგრე, კვლავაც აგრეო (ე. ი. მისწრება ყოფილხარ გასაჭირშიო), ყველა ნიჭიერია, გენიოსია, საქართველოს ხსნა და მომავალი შენისთანა ექიმებშიაო...

შინ რო მიველ, ერთი რვეული კიდევ გავავსე. სულ 45 რვეული მაქვს, მეტი ვერ მოვასწარი, მალე გამოვაქვეყნებ ,,წინა სიტყვაობით, ავტორის სურათით და ბიოგრაფიით''.

ბაკაკია წვერებთხელი

ესე ზღაპარი რეგვენის, ოცნებით შეზავებული, ვითა მორიგი მასალა „თემისთვის" განმზადებული, ვპოვე და პროზად დავტოვე...

პარძანი.



ყოსტა

ოხერი მოქეიოვე ქრიტლს ჭაგნელ ბზიკს ჭლიკ-ჭლიკოს } არ დაიბეჭდება.

შხანკოლას. იმავე საგანზე უფრო ნიჭიერათ დაწერილი ლექსი მოგვივიდა. არ დაიბეჭდება.

ლაბას. „პირველ ვეწვევი კალისტოს,
სალამსა მივცემ მასაო,
ცემა-ტყეპისთვინ მივართმევ
მენდალსა ჯორის ნალსაო.

ვკითხავ თუ ასე **ჩძარ-ჩძარა.**
რათა სცემს თავის ცოლსაო
ბრაზი როდესაც მოუვლს
პირიდანა ჰყრის ცოფსაო".

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით კერძო საკუთრების უარის მყოფელთა რიცხვს. ცოლი ქმარს ეკუთვნის და მაშასადამე მათ შინაურ განწობილებაში ჩარევა პრესის საქმე არ არის.

ესეც არ იყოს თქვენი აზრი ჩვენთვის ცოტა გაურკვეველი გამოდგა. თქვენ უმტყუნებთ კალისტოს **ჩქარ-ჩქარა** ცემას ცოლისას, ხოლო **ნელ-ნელა** ალბათ თქვენც გაჭკრავ-გამოჭკრავთ თქვენს პატივცემულ მეუღლეს.

ლექსი არ დაიბეჭდება

კ—ას. (ნიგოითი) თქვენი წერილი ერმილეს შესახებ, რომელსაც ვითომ მშობელი დედა გაუგდია სახლიდან, ჩვენ შინაურ საქმეთ მიგვაჩნია და ვერ დავბეჭდავთ.

სონა სალუქვაძეს. შეიძლება მამა ჩხიკვაძემ მართლაც გამოჰყარა ქუჩაში თქვენი ავათმყოფი წვრილშვილი იმ დროს, როცა თქვენი მეუღლე ციხეში იჯდა, მაგრამ ეს ოჯახური საქმეა და პრესაში ამის გამოცხადება ეთიკას ეწინააღმდეგება. ესეც არ იყოს. მიუტანეთ კეთილ მოღვაწეს, რამეთუ იმასა სურს თქვენ მეტი ტანჯვა გამოსცადოთ ამ ქვეყნათ და მით დაიმკვიდროთ სასუფეველი ცათა.

წერილი არ დაიბეჭდება.

ქუჯუს. თქვენ იწერებით: „მოსამსახურე ლევანტიმ ისარგებლა ჩემი ნდობით და ოჯახში რაც რამ ძვირფასი ნივთი მქონდა გაიტანაო".

ზევითაც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ წერილი რომელიც ოჯახურ საქმეს ეხება, ჟურნალში ადგილს ვერ მოიპოვებს. არ დაიბეჭდება.

—



მყიდველი. ამა სად გაგონილა გირვანქა კარტოფილი ამაზათ ფასობდეს?
ვაჭარი. ჰამაც არ უნდა ფასობდეს, მაგრამ რო აღარ მოდ-ს, გზა შეკრულია.

რედაქტორ-გამომცემელი—**ნ. დ. ჟღენტისა.**
Печатать разр. воен. цензурой. Типогр. Т—ва „Прогрессъ“ Лорисъ-Меликовск. № 1.